

მშობლების მიერ. ამგვარი მანკიერი შემთხვევები ჩვეულებრივ ოჯახებში არ აღმატება 8%-ს.

კვლევამ ცხადყო, რომ ჰომოსექსუალურ წყვილთან გაზრდილი ბავშვები ზრდასრულ ასაკში განიცდიან სოციალურ-ეკონომიკურ უმწეობას. ადამიანების 28%, რომელთაც ჰყავდათ ლესბოსელი დედა — არიან უმუშევრები, მაშინ როდესაც ნორმალური ოჯახებიდან გამოსული ადამიანების მხოლოდ 8% არის უმუშევარი. ადამიანებმა, რომელთა 69%-ს დედა ჰყავდა ლესბოსელი და 57%-ს — გეი მამა, განაცხადეს, რომ წარსულში ძალიან შეჭირვებულად ცხოვრობდნენ და მათი ოჯახი იღებდა სახელმწიფო დახმარებას. ნორმალურ ოჯახებში ამგვარი მაჩვენებელი არ აღმატება 17%-ს. ვინც ლესბოსელ დედასთან გაიზარდა, მათგან 38% დღემდე სახელმწიფოს სოციალური დახმარებით არსებობს; ასეთი ადამიანების მხოლოდ 26%-ს აქვს სამსახური სრული დატვირთვით. მათგან, ვისაც მამა ჰყავდა ჰომოსექსუალი, მხოლოდ 34%-ს აქვს სამსახური სრული დატვირთვით. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ ნორმალური ოჯახებიდან გამოსულებისთვის სახელმწიფო სოციალური დახმარება აქვს მხოლოდ 10%-ს.

ჰომოსექსუალურ ოჯახებში გაზრდილი ადამიანების ტრაგიზმი ასევე მუღავნდება იმ ფაქტში, რომ მათ **მოშლილი აქვთ სექსუალური თვითი-დენტიფიკაცია.**

კვლევაში მოხმობილია სტატისტიკა, რომელიც მთლიანად ანგრევს მითს, თითქოს ერთსქესიანთა „ოჯახებში“ „აღზრდა“ გავლენას არ ახდენს

ზრდასრული ადამიანის სექსუალურ ორიენტაციაზე. თუკი მამას ან დედას ოდესმე ჰქონია ჰომოსექსუალური ურთიერთობები, მათი შვილების მხოლოდ 60-70% გრძნობს თავს სრულ ჰეტეროსექსუალად. შესადარებლად ვიტყვით, რომ ტრადიციულ ოჯახებში აღზრდილთა 90%-ზე მეტი ადამიანი თავს მიიჩნევს სრულ ჰეტეროსექსუალად.

როდესაც პროფესორმა მარკ რეგნერუსმა დაიწყო მზადება თავისი კვლევის მასალების გასაჯაროებისთვის, მის წინააღმდეგ გაჩაღდა აგრესიული საინფორმაციო კამპანია, არ ცხრებოდა ცილისწამებები მისი მისამართით. ლგბტ-აქტივისტები მოითხოვდნენ, არ დაეშვათ მისი კვლევების გამოქვეყნება. ზოგიერთმა მათგანმა ბატონი რეგნერუსი თაღლითად წარმოაჩინა.

ლგბტ თემი მოითხოვდა, პროფესორი ტეხასის უნივერსიტეტიდან დაეთხოვათ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ წინადაგზე ზოგიერთი თანამშრომელიც კი დაუპირისპირდა თავის კოლეგას.

ტეხასის უნივერსიტეტში გულდასმით შეისწავლეს მარკ რეგნერუსის წინააღმდეგ წამოყენებული ყველა ბრალდება და დაწვრილებით გააანალიზეს ამ მეცნიერის მიერ მიღებული ყველა მონაცემი. ცალკე განიხილებოდა კვლევის მეთოდიკა.

გამოძიების შედეგად უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ საჯაროდ დაადასტურა: „ბატონი რეგნერუსის მიერ წარმოებული ნაშრომი შესრულებულია უმაღლესი ხარისხით და შეესაბამება ყველა აკადემიურ მოთხოვნას.“

**მარიამ გაგუა**

## გალობის უნივერსიტეტი ევროპული ფასეულობებისკენ

„25 მაისს ჩვენ ფართოდ გავაღეთ კარი ევროპისკენ, ევროპული ლირებულებებისა და კულტურისკენ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გალობის უნივერსიტეტი იქნება ქართული საეკლესიო მუსიკის ელჩი ევროპაში!“

2022 წლის 25 მაისს გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელსა და რომის სასულიერო მუსიკის პონტიფიკალურ ინსტიტუტს შორის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის გაფორმებას წინ უძღვდა გალობის უნივერსიტეტის მრავალწლიანი საქმიანობა, წინსვლა, თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაზე მორგება, ახალგაზრდების დაინტერესება ქართული სიმღერა-გალობით, ზრუნვა ქართული საეკლესიო და ხალხური მუსიკის განვითარებასა და გავრცელებაზე, აქტიური თანამშრომლობა როგორც ქვეყნის შიგნით არსებულ სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ კულტუ-

რულ დაწესებულებასთან, ისე საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან.

გალობის უნივერსიტეტის საქმიანობის, მემორანდუმის მნიშვნელობისა და ურთიერთობანამშრომლობის დეტალების შესახებ საუბარი ვთხოვეთ გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნანა გოთუას.

— ქალბატონი ნანა, როგორც ვიცით, გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი — გალობის უნივერსიტეტი თხუთმეტ წელზე მეტია არსებობს.

**უპირველესად, საინტერესო იქნება, გვი-  
ამბოთ უნივერსიტეტის დარსების შესა-  
ხებ, როგორ დაიწყო ყველაფერი?**

— გალობის უნივერსიტეტი უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის II-ის ლოცვა-კურთხევით, 2006 წელს დაფუძნდა. უნივერსიტეტის შექმნის სათავეებთან იდგნენ გარეჯის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს მონასტრის წინამდღვარი, ამჟამად უნივერსიტეტის რექტორი, არქიმანდრიტი იოანე (სილევან კიკვაძე) და ქართული ხალხური სიმღერა-გალობის დიდი მოამაგე ანზორ ერქომაიშვილი. მინდა, სიამაყით და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით აღვნიშნო, რომ ჩემს ოჯახს წილად ხვდა დიდი პატივი, უნივერსიტეტის დაფუძნების სათავეებთან ამ ბეჭერაზი ხალხის გვერდით მდგარიყო.

სასწავლო უნივერსიტეტი ორიენტირებულია ქართული საეკლესიო გალობის რეგენტების, ხალხური სიმღერის ლოტბარებისა და საეკლესიო მუსიკის მკავლევრების მომზადებაზე. მნიშვნელოვანია აღვნიშნო, რომ 2014 წლიდან უნივერსიტეტში დაიწყო რეფორმები: შეიცვალა წესდება, ხელახლა დაკომპლექტდა ადმინისტრაციული პერსონალი და ნაწილობრივ – პროფესურა; მონესრიგდა საქმისარმოება და ინფრასტრუქტურა, განახლდა აუდიტორიები და ბიბლიოთეკა.

ამ რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლე გახლდათ გოგონების პირველი ნაკადის მიღება, რაც გალობის უნივერსიტეტისთვის, მართლაც, ისტორიული მოვლენა იყო. შეიცვალა სასწავლო გეგმა, მოდიფიცირდა კურსები, განსაკუთრებული ცვლილება შეეხეო სამაგისტრო პროგრამას, დაემატა ახალი საგანი — „ქართული საგალობლის მუსიკალური ესთეტიკა“. საბაკალავრო პროგრამაზე კი დაემატა — „მუსიკალური ინფორმატიკა“, ხოლო მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტში ფონდი „ქართული გალობის“ შემოწირულებით საერთაშორისო სტანდარტის გერმანულ-ამერიკული აპარატურით აღჭურვილი ხმის ჩამწერი სტუდია შეიქმნა, კიდევ ერთი ახალი საგანი — „ჩანტრის ტექნიკა“ დაიწერგა. ასევე გადახალისდა სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდოლოგია და ფორმატი, როგორებიცაა კურსები: სალოტბარო ხელოვნება, გალობის ისტორია და თეორია. ეს ისეთი ცვლილებებია, ის ახალი დისკიპლინებია, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტის პროფესიული განვითარებისთვის.

— რა არის დღეს უნივერსიტეტის საქმიანო-



### ბის უმთავრესი პრიორიტეტები?

— გალობის უნივერსიტეტისთვის უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოს რეგიონები, სადაც სტუდენტები და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები თავიანთ ცოდნას უზიარებენ და ახალგაზრდებს პროფესიულ დონეზე შეასწავლიან სიმღერა-გალობას სხვადასხვა რეგიონში.

ამ მნიშვნელოვანი პროცესის განხორციელებაში ძალიან გვეხმარება ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ფოლკლორი, რომელიც საქართველოს რეგიონების სალოტბარო სკოლებში პედაგოგებად ჩვენს კურსდამთავრებულებს ასაქმებს, რისთვისაც დიდ მაღლობას უზედით ცენტრის დირექტორს, ბატონ გიორგი დონაძეს, ვინაიდან ეს მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჩვენი სტუდენტების სწავლის მოტივაციას და ქართული სიმღერა-გალობის პოპულარზაციასა და მის განვითარებას რეგიონებში. ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ეპარქიების წინამდღვრები, რომლებიც ძალიან გვეხმარებიან, რომ ჩვენმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა სხვადასხვა ტაძარში მსახურებისას იგალობონ და ასევე ასწავლონ ადგილობრივ ახალგაზრდებს.

საქართველოს რეგიონებიდან ერთ-ერთი გამორჩეული გახლავთ ნიქოზი, სადაც გალობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ნიკოლოზ ნებიერიძე 2014 წლიდან ფონდი „ქართული გალობის“ წარმომადგენელია ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიაში. ამ წლებში მისი ხელმძღვანელობით ეპარქიაში ჩამოყალიბდა გოგონათა და ვაჟთა გუნდები, რომლებიც მსახურებაზე გალობენ. იგი ხალხურს სიმღერას ასწავლის ნიქოზისა და მიმდებარე სოფლების ბავშვებს, ხოლო სოფელ ბებნისში დედათა მონასტერთან არსებულ უნარშეზღუდულ ბავშვთა სახლში სიმღერისა და გალობის მასწავლებელია.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ 2017 წლიდან საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრიბაციის სამინისტროს №17 პენიტენციურ დაწესე-

ბულებაში (ქალაქი რუსთავი) მსჯავრდადებულებს ქართულ საეკლესიო გალობასა და ხალხურ სიმღერას გალობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და ფონდ „ქართული გალობის“ წარმომადგენელი გიორგი აბესაძე ასწავლიდა.

— დღეს როგორ მიმდინარეობს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობა? პანდემიამ ხომ არ შეაფერხა სწავლის პროცესი?

— პანდემიამ, როგორც მთელი მსოფლიო, რა თქმა უნდა, ასევე ჩვენც შეგვაფერხა, თუმცა ამას სასწავლო პროცესზე ვერ ვიტყვით, რადგან უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და კომპეტენტურმა აკადემიურმა პერსონალმა მყისიერად შეიმუშავეს ონლაინრეჟიმზე მორგებული სასწავლო პროცესის უახლესი გეგმა და მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაიარა სწავლებამ უნივერსიტეტში. რა თქმა უნდა, ფესტივალები და კონცერტები ამ ორი წლის განმავლობაში არ გამართულა და ეს აქტივობა ნამდვილად დააკლდათ სტუდენტებს, მაგრამ წინ საკმაოდ ბევრი და საინტერესო ღონისძიება გველოდება და მომავლის დიდი იმედით ვართ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პანდემიის დროს ადმინისტრაციისა და დეკანატის მაღალკვალიფიციური მუშაობის შედეგად არაჩვეულებრივად გავუშებლავდით ამ ურთულეს გამოწვევას და, ფაქტობრივად, შეუფერხებლად ჩაიარა მიმდინარე წლების სასწავლო პროცესში.

— როგორც ვიცით, უნივერსიტეტის სტუდენტები არაერთ უცხოურ კონკურსსა და კონცერტში მონაწილეობენ, უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საზღვარგარეთ არსებულ სხვა სასწავლებლებთან?

— ჩვენი უნივერსიტეტისათვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონტაქტები. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა კონცერტსა თუ საერთაშორისო ფესტივალში, გამოდიან სამეცნიერო კონფერენციებზე, ატარებენ ექსპედიციებს. სხვადასხვა რეგიონული თუ საერთაშორისო პროექტის პარალელურად აგრეთვე გვაქვს სტუდენტური გაცვლითი პროგრამა ამერიკის შეერთებული შტატების ნოტრ დამის უნივერსიტეტთან. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით სასწავლებელი აქტიურად აგრძელებს მუშაობას და სწორედ ამის დასტურია სულ ახლახან რომის სასულიერო მუსიკის პონტიფიკალურ ინსტიტუტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

— როგორ გაჩნდა რომის სასულიერო მუსიკის პონტიფიკალურ ინსტიტუტთან თანამშრომლობის იდეა?

— რამდენიმე თვის წინ საქართველოს პრეზიდენტი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი ოფი-

ციალური ვიზიტით ვატიკანში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში მან სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული მიმართულებით სხვადასხვა მემორანდუმი გააფორმა. ქალბატონ პრეზიდენტს თან ახლდა წარმომადგენლობითი დელეგაცია, სადაც საქართველოს ეკლესიდან იმყოფებოდა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე. საქმიანი შეხვედრების დროს საქართველოს სრულუფლებაზე ელჩი ვატიკანში, ქალბატონი ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანელი დაინტერესდა, არსებობდა თუ არა რომის სასულიერო მუსიკის პონტიფიკალური ინსტიტუტის მსგავსი ტიპის უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში. სწორედ ამის შემდეგ პროტოპრესვიტერ გიორგი ზვიადაძის მეშვეობით მოხდა ჩვენი დაკავშირება ქალბატონ ქეთევანთან, რომელსაც გადავუგზავნეთ ყველა მონაცემი და ინფორმაცია გალობის უნივერსიტეტის შესახებ და გავაცანით ჩვენი უნივერსიტეტი. აი, ასე გადაიდგა პირველი ნაბიჯები იმ მნიშვნელოვანი დღისკენ, რომელიც 25 მაისს მემორანდუმზე ხელმოწერით დაგვირგვინდა. აქვე შუამდგომლობისთვის, მხარდაჭერისა და ყურადღებისთვის მაღლობა გვინდა გადავუხსადოთ მამა გიორგი ზვიადაძეს, ვინაიდან დიდია მისი წვლილი ამ ისტორიული ურთიერთთანამშრომლობის გაფორმებაში.

— რას მოიცავს ეს მემორანდუმი, როგორ გესახებათ სამომავლო ურთიერთთანამშრომლობა რომის პონტიფიკალურ ინსტიტუტთან?

— რომის სასულიერო მუსიკის პონტიფიკალური ინსტიტუტის ისტორია საუკუნეზე მეტს ითვლის და ამით უკვე ყველაფერი ნათევამია, ეს უკვე ადასტურებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი მემორანდუმი გავაფორმეთ 25 მაისს. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე სასწავლო დაწესებულება საუნივერსიტეტო ღონისაა და ორივე ავრცელებს ფუნდამენტურ და ზოგად მუსიკალურ სწავლებას სასულიერო მუსიკის სპეციალიზებულ მიმართულებაზე, სასწავლებლები ითანამშრომლებს სპეციალიზებული სასწავლო კურსების ორგანიზებაში: სემინარები, კონცერტები, მასტერკლასები, კონფერენციები, სწავლებები. განხორციელდება ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები და ასევე დაიგეგმება აკადემიური პერსონალის მობილობა მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.

— სად გაფორმდა მემორანდუმი და ვინ ესწრებოდა ამ ისტორიულ ღონისძიებას?

— მემორანდუმის გაფორმების ცერემონია გაიმართა რომში, ისტორიულ შენობაში, სან ჯიორლამის სააბატოში, რომელიც 1983 წლიდან, პაპიონენ პავლე მეორის გადაწყვეტილებით, რომის სასულიერო მუსიკის პონტიფიკალურ ინსტიტუტს

ეკუთვნის. ღონისძიებას ესწრებოდნენ: რომის სა-სულიერო მუსიკის პონტიფიკალური ინსტიტუ-  
ტის რექტორი, მაესტრო მონსინიორ ვინჩენცო დე  
რეგორიო, წმინდა საყდართან საქართველოს სა-  
განგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ქალბატონი  
ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონი, საქართვე-  
ლოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბა-  
ტონი მიხეილ ჩხერიმელი, ბიზნესმენი და მეცნატი,  
ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებელი, ბა-  
ტონი ივანე ჩხარტიშვილი, მე, როგორც გალობის  
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,  
გალობის უნივერსიტეტის დეკანი, თამარ ჩხეიძე,  
ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს  
ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი  
გიორგი დონაძე და ანსამბლ „ბასიანის“ წევრები.

მემორანდუმის გაფორმებამდე სიტყვით წარ-  
დგნენ: მაესტრო მონსინიორ ვინჩენცო დე გრე-  
გორიო, საქართველოს ელჩი ვატიკანში ქეთევან  
ბაგრატიონ მუხრანბატონი, საქართველოს განათ-  
ლების მინისტრი ბატონი მიხეილ ჩხერიმელი და მე,  
როგორც გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკ-  
ლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის ადმი-  
ნისტრაციის ხელმძღვანელი. გალობის უნივერსი-  
ტეტის შესახებ პრეზენტაცია სასწავლებლის დე-  
კანმა, ქალბატონმა თამარ ჩხეიძემ წარადგინა.

მემორანდუმის გაფორმების ოფიციალური წა-  
ნილის შემდეგ, რომის სასულიერო მუსიკის პონ-  
ტიფიკალურ ინსტიტუტის კაპელაში, საორგანო და  
ქართული საეკლესიო მუსიკის კონცერტი გაიმარ-  
თა, სადაც ანსამბლ „ბასიანის“ წევრებმა ქართული  
საგალობლები შეასრულეს.

— როგორც ვიცით, საკმაოდ შთაბეჭდავი და  
ემოციური იყო მემორანდუმის გაფორმების ის-  
ტორიული ცერემონია... როგორი იყო ვატიკანში  
მასპინძლების დახვედრა, მათი შთაბეჭდილებები  
ქართული სიმღერა-გალობის მოსმენის შემდეგ?

— ვატიკანში მასპინძლები ძალიან დიდი სიხა-  
რულით შეგვევდნენ, ხოლო ქართული სიმღერა-გა-  
ლობის მოსმენის შემდეგ მათი შთაბეჭდილებების  
გადმოცემა სიტყვებით ალბათ ძალიან რთული იქ-  
ნება, ცრემლების გარეშე ვერ ისმენდნენ და აღფო-  
თოვანებას ვერ მაღავდნენ. ძალიან შთაბეჭდავი  
იყო ინსტიტუტის კაპელაში აუდერებული ქართული  
მრავალხმიანობა და ამ ემოციების უკეთ გადმოსა-  
ცემად ალბათ უმჯობესია, რომის სასულიერო მუ-  
სიკის პონტიფიკალური ინსტიტუტის რექტორის,  
მაესტრო მონსინიორ ვინჩენცო დე გრეგორიოს  
შეფასება, მისი სიტყვები მოვიშველიო, რომელმაც  
აღნიშნა: „ეს არის ანტიკური მუსიკის ემოცია, რო-  
მელიც მთელი დასავლური ცივილიზაციის ფესვებ-  
შია, იმიტომ რომ ამ პოლიფონიაში, რომელსაც ჩვენ  
ტექნიკურად ვუწოდებთ პომორითმულს იმავე აქ-

ცენტებით, მაგრამ სხვადასხვა ხმეით, მე მესმის ან-  
ტიკური ხალხების, ჩვენი სარდინიელების და ჩვენი  
სხვა უნინდულების ხალხების ხმები. აქ გესმის მთელი  
დასავლეთ ცივილიზაციის ფესვები, რომელიც სა-  
ქართველოს გავლით ევროპაში მოვიდა და ხელოვ-  
ნების დონეზე მოიტანა ეს უდიდესი ნიჭი არა ერთი  
ხმისა, არამედ ერთმანეთან შერწყმული ხმების. ეს  
ჰარმონია, რომელიც მუსიკაში ახსნილია, როგორც  
სხვადასხვა ბეგერის თანხმოვანება ამ ქართულ  
ტრადიციაში განსაკუთრებული ორიგინალობით  
გამოირჩევა, რაც ჩვენ ევროპაში არ გვაქვს“. როდე-  
საც მსგავს შეფასებას ისმენ, რა თქმა უნდა, დიდია  
ემოციაც, სიამაყის გრძნობაც და ამავე დროს უდი-  
დესი პასუხისმგებლობაა, რომ ლირსეულად განაგ-  
რძო ის ეროვნული გზა, რასაც ქართული კულტუ-  
რის ევროპაში ინტეგრაცია ჰქვია.

— ამ ეტაპზე არის თუ არა დაგეგმილი კონკ-  
რეტული აქტივობები ამ თანამშრომლობის ფარ-  
გლებში?

— ახლა უკვე ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე  
გადავდივართ, ვინწყებთ სამუშაო პროცესს, რომე-  
ლიც გარკვეულ პერიოდს მოიცავს იმისთვის, რომ  
დაიგეგმოს როგორც სტუდენტებისთვის, აგრეთვე  
ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლე-  
ბისთვის ლექციები, სემინარები და სამუშაო შეხ-  
ვედრები. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, ორმხრივი  
იქნება და ჩვენი უნივერსიტეტი ასევე უმასპინ-  
ძლებს რომის სასულიერო მუსიკის ინსტიტუტს.  
რაც მთავარია, ურთიერთთანამშრომლობის მემო-  
რანდუმი უკვე გავაფორმეთ, დავმეგობრდით, შევ-  
თანხმდით თანამშრომლობის მთავარ პრინციპებ-  
სა და მიზნებზე. ორ ინსტიტუტს შორის თანამშ-  
რომლობით მოხდება ცოდნისა და გამოცდილების  
ერთმანეთთან გაზიარება და სწორედ ასე შედგება  
კულტურული დიალოგი ორ უძველეს ცივილიზა-  
ციას შორის, რაც ვფიქრობთ, მნიშვნელოვან როლს  
შეასრულებს ორ ქვეყანას შორის კულტურულ-სა-  
განმანათლებლო ურთიერთობების გაღრმავებაში.

25 მაისს გალობის უნივერსიტეტსა და რომის  
სასულიერო მუსიკის პონტიფიკალურ ინსტიტუტს  
შორის გაფორმებული მემორანდუმი კიდევ ერთი  
წინ გადადგმული ნაბიჯია ევროპულ ოჯახში დაბ-  
რუნებისკენ, რისკენაც არის მიმართული საქართ-  
ველოს სახელმწიფო კურსი. დარწმუნებული ვართ,  
რომ კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადა-  
იდგმება როგორც უნივერსიტეტის განვითარების-  
თვის, ასევე ქართული საეკლესიო გალობისა და  
ტრადიციული მუსიკის შესწავლის ხელშეწყობის  
მიმართულებით.

გარდა ამისა, როგორც მემორანდუმის გაფორ-  
მების ცერემონიაზეც აღვნიშნე, ფაქტობრივად, ეს  
დღე არის ბატონი ანზორ ერქომაიშვილის ოცნე-

ბის ახდენის დღე. მისი ოცნება იყო, რომ ჩვენ ჩვენი კულტურა გაგვეცნო ევროპისთვის, გაგვეცნო უცხოელებისთვის და მეტი შანსი ჰქონოდა ჩვენს ახალგაზრდობას ურთიერთობისა, ჩვენი ტრადიციების შეტანისა ევროპაში. მან გზა გვიჩვენა, საით უნდა იაროს ჩვენმა უნივერსიტეტმა.

25 მაისს მემორანდუმზე ხელმოწერით ჩვენ ფართოდ გავაღეთ კარი ევროპისკენ, ევროპული

ლირებულებებისა და კულტურისკენ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გალობის უნივერსიტეტი იქნება ქართული საეკლესიო მუსიკის ელჩი ევროპაში.

— **ძალიან დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის.** გისურვებთ ნარმატებულ და ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის, ეკლესიისა და მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.

**ესაუბრა თამარ ასათიანი**

## საქართველოში იელოვას მოწმეთა სექტას 18 524 ნევრი ჰყავს

გასულ თვეში რასელისტთა (იელოვას მოწმეთა) სექტის წარმომადგენელები მოქალაქეებს მთელი საქართველოს მასშტაბით იწვევდნენ ე. ნ. „იესო ქრისტეს სიკვდილის გახსენების საღამოზე“. „გულთბილად გიწვევთ, ჩვენთან ერთად აღნიშნოთ ქრისტეს სიკვდილის გახსენების საღამო ამა წლის 15 აპრილს, პარასკევს“ - ვკითხულობთ მოსაწვევში.

როგორც ცნობილია, „გახსენების საღამო“ ამ რელიგიური ორგანიზაციის ერთადერთი დღესასწაულია, რომელსაც მისიონერული მიზნებისთვის იყენებენ. სექტის წევრები ცდილობენ, რომ მათი ოჯახის ის წევრები თუ ნაცნობ-მეგობრები, რომლებიც მათ რელიგიურ შეხედულებებს არ იზიარებენ, ამ დღეს მაინც მოიწვიონ სექტის კრებებზე, რომელსაც თავად „სამეფო დარბაზებს“ უწოდებენ. გახსენების საღამოზე მოწვეულ ადამიანებს ურიგებენ სექტის ლიტერატურასაც და იწვევენ კრების შემდეგ შეხვედრებზეც, რათა მათ დაინტერესებას და სექტაში განევრიანებას მიაღწიონ.

გასულ თვეში იელოვას მოწმეთა პუბლიკაციებსა და ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატია - „რუსეთ-უკრაინის ომი - რა პოზიცია აქვს რელიგიას და რას ამბობს ბიბლია“, რომელშიც ნათქვამია: „მთელ მსოფლიოში, მათ შორის რუსეთსა და უკრაინაში, იელოვას მოწმეები მივყვებით იესოს მითითებებს - ვინარჩუნებთ პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს და იარაღს არ ვიღებთ ხელში. სწორედ ამ მიზეზის გამო შეირაღებული დაპირისპირების დროს არცერთ მხარეს არ ვიკავებთ“. მსგავსი პაციფისტური, ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი პოზიცია სრულებით არაა გასაკვირი, რადგან იელოვას მოწმეთა სექტაში არ არსებობს „სამშობლოს“ ცნება. სექტის ოფიციალური შურნალი „გამოიღვიძეთ“ წერს:

„თუ ვინმე გკითხავს: რა ეროვნების ხარ? - უბა-სუხე, რომ იელოვას მოწმე ხარ“(!), - რასაც ასეთი კომენტარი მოსდევს: „მეამაყება, რომ ისეთ ორგანიზაციაში ვარ, რომლისთვისაც მნიშვნელობა არა აქვს ეროვნებას“ (9.12. 1998 წ. რუბრიკა „რასობრივი სიამაყე“). რასელისტთა სექტა კატეგორიული წინააღმდეგია, პატივი მიაგოს ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნულ სიმბოლიკას (დროშას, გერბს და სხვ.), უარყოფს პატრიოტიზმსა და საკუთარი ქვეყნის დაცვის აუცილებლობას; ის მხოლოდ საკუთარ ინტერესებს იცავს.

აღსანიშნავია, რომ რასელისტები თითოეული „დაინტერესებულის“ (მათი ტერმინია) შესახებ დეტალურ აღრიცხვას და ანგარიშს ანარმოებენ. „ეშურა, ყველგან იქადაგო“, „მუდამ მზად იყავი გამოლაპარაკებისთვის“, „როდესაც შეგხვდება ადამიანი, რომელიც ინტერესს იჩენს, ეცადე, მისი სახელი, მისამართი და ტელეფონის ნომერი შეიტყო“ - ვკითხულობთ ამ ორგანიზაციის შიდა მოხმარების შურნალში „ჩვენი სამეფო მსახურება“ (09.1996). ამავე შურნალის 2003 წლის №4-ში წერს: „აუცილებლად მიაკითხე მათ, ვისაც ლიტერატურა დაუტოვე ან მათ, ვინც მცირე ინტერესი მაინც გამოავლინა. გამოცდილი მაუნიებლები (რასელისტი აგიტატორები - ს.კ.) იწერენ, რა აინტერესებს მობინადრეს და ამას მომავალი მსჯელობის საფუძვლად იყენებენ... პირველი მონახულების დასასარულს ეფექტურია მობინადრისათვის დამაფიქრებელი კითხვის დასმა, რაც მას შემდეგი მონახულებისადმი ინტერესს გაუღვივებს... ეცადე, მობინადრე მოინახულო მანამ, სანამ ინტერესი არ განელებია - შეიძლება ერთ-ორ დღეშიც კი“.

სექტის შიდა მოხმარების სახელმძღვანელო „როგორ დავამყაროთ კავშირი და გავაგრძელოთ საუბარი ბიბლიურ თემაზე“ (1994 წ.) იელოვას